მშვიდობის მშენებლობა აფხაზეთში: მიზნები და გამოწვევები

ბორენა ტურაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები

მიმართულება: პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზარინა ბურკაძე,

ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ბორენა ტურაშვილი

19.06.2024

სარჩევი

განაცხადი ii

აბსტრაქტი 1

Abstract 3

შესავალი 4

- საკითხის აქტუალობა 4
- ისტორიული ექსკურსი 7
- კონტექსტის ანალიზი 11

ლიტერატურის მიმოხილვა 15

თეორიული არგუმენტი 24

- ეთნიკური კონფლიქტების თეორია / მოდერნიზაციის არგუმენტი 24
- პოლიტიკური გამოთიშვის არგუმენტი 25
- დემოკრატიზაციის არგუმენტი 26
- საგარეო ჩარევის არგუმენტი 28
- საკვლევის კითხვა და ჰიპოთეზა 29

მეთოდოლოგია 31

მთავარი კონცეპტების განმარტება და ოპერაციონალიზაცია 33

- კონფლიქტის დეფინიცია და ოპერაციონალიზაცია 33
- მშვიდობის მშენებლობა და მისი ინდიკატორები 35
- დიდი სახელმწიფოების პოლიტიკა და ოპერაციონალიზაცია 38
- პოლიტიკური ელიტები და ოპერაციონალიზაცია 39

კვლევის შედეგები: არასტრუქტურირებული ინტერვიუები 41

კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია/დისკუსია 55

- ემპირიული თავების მიმოხილვა 55
- კვლევის მიგნებები განხილვა 57

კვლევის შედეგების შეპირისპირება და შედარება 60

ბიბლიოგრაფია 62

დანართი: 67

აბსტრაქტი

უკვე 30 წელია ქართულ-აფხაზური ურთიერთობები განსაკუთრებით სენსიტიურ თემად არის ქცეული ქართული საზოგადოებისთვის. საქართველოს მოსახლეობა სოციალურ ქსელებსა თუ პირად საუბრებში დაკარგულ ტერიტორიებზე სისტემატურად საუბრობს და მომავალს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის იმედით უყურებს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებული კომპლექსური ურთიერთობები განსაკუთრებული ყურადღების საგანია. მშვიდობის მშენებლობა, ეს ის პროცესია, რა დროსაც ხდება როგორც კონფლიქტის ტრანსფორმაცია, ასევე კონფლიქტის შემდგომი მშვიდობის მშენებლობა ხანგრძლივი და დღეგრძელი მშვიდობისთვის. წინამდებარე სამეცნიერო კვლევითი ნაშრომის შეისწავლის საგანს სწორედ აფხაზეთში მშვიდობის მშენებლობის მიზნები, გამოწვევები და პერსპექტივები წარმოადგენს.

სამაგისტრო კვლევითი ნაშრომი, თეორიულ ჩარჩოსა თუ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით განიხილავს და აანალიზებს იმ ძირითად ტენდენციებს, რომლებიც აფხაზეთში მშვიდობის მშენებლობის თანამედროვე პროცესებს ახასიათებს. ნაშრომი, თეორიულ არგუმენტებზე დაყრდნობით, ცდილობს განსაზღვროს აფხაზეთში წარმატებული მშვიდობის მშენებლობის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები და გარემოებები. გარდა თეორიული ჩარჩოსი, კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა ჩაღრმავებულმა ინტერვიუებმა შესაძლებელი გახადა მშვიდობის მშენებლობისთვის აუცილებელი სოციალური და კულტურული ასპექტების შესწავლა, რამაც თავის მხრივ ნაშრომს დამატებითი ღირებულება შესძინა.

საბოლოო ჯამში, ნაშრომი სრულად და ყოველმხრივ გამოკვეთს იმ ფაქტორებს, რომლებიც მშვიდობის მშენებლობის ეფექტიანობას განაპირობებს. ასევე, ქმნის საფუძვლებს კონფლიქტის შემდგომი მშვიდობის მშენებლობისთვის და საუბრობს იმ მიზნებსა და გამოწვევებზე, რაც მშვიდობის მშენებლობის პროცესს შეიძლება ახლდეს თან.

საკვანძო სიტყვები: აფხაზეთი, მშვიდობის მშენებლობა, მშვიდობის შექმნა, კონფლიქტი, ქართულ-აფხაზური ურთიერთობები.

Abstract

For 30 years, Georgian-Abkhazian relations have become a sensitive topic for Georgian society. The Georgian people talk about lost territories on social networks or in personal conversations systematically and they look to the future with the hope of restoring the territorial integrity of Georgia. Considering all this, the relations between Georgians and Abkhazians are the subject of special attention. Peacebuilding is the process of conflict transformation and post-conflict peacebuilding for lasting peace. The subject of study of the scientific research paper is the goals, challenges and perspectives of peace building in Abkhazia.

The research paper, which is based on the theoretical framework and empirical material, discusses and analyzes the main trends, which characterize the modern processes of peace building in Abkhazia. The research paper, based on theoretical arguments, tries to determine the main factors and circumstances leading to successful construction of hunger in Abkhazia. In addition, the in-depth interviews conducted as part of the research, which made it possible to study the social and cultural aspects for peace building.

In the end, the research paper fully and comprehensively outlines the factors, that determine the effectiveness of peacebuilding. It also lays the foundations for post-conflict peacebuilding and the goals and challenges that may accompany the peacebuilding process.

Key words: Abkhazia, Peacebuilding, Peacekeeping, Peacemaking, Ponflict, Georgian-Abkhaz relations.